ნინო ხანთაძე, ლელა ავალიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Nino.khantadze@atsu.edu.ge;lela.avaliani@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.108

ფონოლოგიური უნარების განვითარების ხელშემწყობი ზოგიერთი სტრატეგიის შესახებ დაწყებით საფეხურზე

კითხვა ერთ–ერთი მთავარი მიმართულებაა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას. ის ნებისმიერ საგანში ცოდნის დაგროვების საყრდენს წარმოადგენს. ეფექტური კითხვა ერთიანი პროცესია და გულისხმობს კითხვის ტექნიკის გაწაფვას და წაკითხულის გაგება–გააზრებას. მისი სწავლა–სწავლების დროს ვითარდება სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციები. კითხვის სწავლება ხუთ ძირითად კომპონენტზე დაყრდნობით მიმდინარეობს. ესენია: ფონოლოგიური უნარ–ჩვევები, ანბანის ცოდნა, ლექსიკური მარაგი, გაწაფული/გამართული კითხვა და გაგება–გააზრება, რომელიც კითხვის სწავლების საბოლოო შედეგია. როცა ყველა კომპონენტი ერთიანდება მთლიანი ტექსტის გასაგებად, მაშინ ხორციელდება კითხვა, როგორც სასწავლო ქმედება, აქტი. აქედან გამომდინარე, კითხვა არ ნიშნავს ცალკეული ასოების, მარცვლების, სიტყვების ან თუნდაც ცალკეული წინადადებებისა და ფრაზების ამოკითხვას, მაგრამ ვიდრე საბოლოო შედეგამდე მივალთ, მნიშვნელოვანია სწორად გავიაროთ ის ეტაპები, რომელიც კითხვის ტექნიკური მხარის შესწავლას გულისხმობს, მოსწავლეებს ნაბიჯ–ნაბიჯ განუვითაროთ კითხვის ტექნიკის უნარები. ისინი მასწავლებლის დახმარებით უნდა დაეუფლონ სხვადასხვა სტრატეგიებს, რომ ჰქონდეთ სრულფასოვანი საფუძველი, გაიაზრონ წაკითხული, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, გაგება–გააზრების ხარისხი დამოკიდებულია მკითხველის მომზადების დონეზე. ამრიგად, კითხვა რთული ლინგვისტური პროცესია, რომელიც სკოლაში მიზანმიმართული მეცადინეობის შედეგად უნდა განხორციელდეს.

ამჯერად შევეხებით, მნიშვნელოვან სტრატეგიებსა და აქტივობებს, რომლებიც ფონოლოგიური უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

სწავლების საწყის ეტაპზე ძირითადად უნდა შევაფასოთ მოსწავლეთა ფონოლოგიური უნარ–ჩვევები, რომლებიც კითხვისა და მართლმეტყველების საფუძველს წარმოადგენს. და საგანგებო ყურადღება დავუთმოთ მათ განვითარებას.

ადრეულ ასაკში ბავშვი ვერ ახერხებს ზეპირად წარმოთქმული სიტყვების ერთმანეთისაგან გამოყოფას, რადგან მისთვის საუბარი ბგერათა უწყვეტ ნაკადად აღიქმება. საჭიროა, ჩამოუყალიბდეთ უნარი, რომლის მეშვეობითაც შეძლებენ წინადადებაში სიტყვების, სიტყვებში – მარცვლებისა და ბგერების, მარცვლებში – ბგერების გამოცალკევებას. აგრეთვე ცალკეული ბგერებისა და მარცვლებისაგან სიტყვების შედგენას. სკოლაში მისვლისას ბავშვს ძირითადად დაძლეული აქვს გარკვეული ფონოლოგიური უნარები. თუმცა ეს პროცესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს და განმტკიცდეს, რადგან ბავშვებს სხვადასხვა დონეზე აქვთ განვითარებული ეს უნარი. ყოველდღიურად უნდა მოხდეს მათზე დაკვირვება და საჭიროებების დადგენა. მასწავლებელს შეუძლია, მოახდინოს ზოგიერთ მეთოდისა და აქტივობის ადაპტირება მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე.

ბავშვს, პირველ რიგში, უნდა გავაცნოთ ენის ბგერითი სამყარო. ფონოლოგიური უნარები სმენითია და არ უკავშირდება დაწერილ ტექსტს, ამიტომ ამ უნარ–ჩვევების განვითრების პროცესში მოსმენაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებაა აუცილებელი. მოსწავლის ფონოლოგიური ცნობიერების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სწორად დაგეგმოს და გააცნოს სტრატეგიები და აქტივობები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

- **მოსმენა – აქტიური მოსმენა, გულისყურის უნარი –** რომლის განვითარებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ საგნები და მოქმედებები, რომლებიც განსხვავებულ, საინტერესო ხმებს გამოსცემენ, ხმების ჩანაწერი, ილუსტრირებული, ფერადი ტექსტები. ასევე კარგია ხატვა კარნახით. მოსწავლეებს კარნახობს მასწავლებელი სიუჟეტს, რომელიც უნდა იყოს მარტივად დასახატი, მოსწავლეები უსმენენ და ხატავენ.
- **რითმის ცნობა და გარითმვა**

აქ კარგია საბავშვო და სახალისო ლექსების, გათვლების, გალექსილი გამოცანების და მისარითმების გამოყენება.

- **მარცვალი და დამარცვლა**

მოსწავლეები იგებენ, რომ სიტყვები შეიძლება შემადგენელ ნაწილებად დაიშალოს. მეტად მნიშვნელოვანია სიტყვაში მარცვლების ამოცნობაზე მუშაობა საბოლოო შედეგამდე მისასვლელად, რაც ნიშნავს, ბავშვებმა შეძლონ სიტყვის ცალკეულ ბგერებად დაშლა. მათთვის ადვილია სიტყვის უფრო მოზრდილი ნაწილებით დაიწყონ და შემდეგ გადავიდნენ უმცირეს ერთეულებზე. ცალკეულ ბგერებზე. სასურველი შედეგის მისაღწევად ვიყენებთ ტაშით დათვლას. სიტყვის თითოეულ მარცვალზე უკრავენ ტაშს, ითვლიან და ასახელებენ მარცვალს. ეფექტურია დაჭრილი ბარათები. ბავშვებს ვაჩვენებთ სურათს, რომელზეც გამოსახულია ბალი და ბარათი გაჭრილია ორად, მათ უადვილდებათ მარცვლების დათვლა. ასეთი პატარა სიტყვა ბგერებადაც შეიძლება დაიშალოს და ბარათი დაიჭრას შესაბამის რაოდენობად. ვაჩვენებთ სურათს, რომელზეც გამოსახულია მატარებელი და ბარათი დაჭრილია იმდენად, რამდენ მარცვლადაც იყოფა ეს სიტყვა. ასეთ შემთხვევაში ბავშვს უადვილდება დაასახელოს მესამე მარცვალი, დამარცვლოს სიტყვა, დაითვალოს მარცვლების რაოდენობა.

- **პირველი ბგერის ამოცნობა**

ამ სტრატეგიის გამოყენებას რამდენიმე დანიშნულება აქვს. პირველი ბგერა სიტყვების ერთმანეთისაგან გამიჯვნაში გვეხმარება გაბმული მეტყველების მოსმენის დროს. კითხვის პროცესს რაც შეეხება, პირველი ასო–ბგერის იდენტიფიცირება სიტყვის მნიშვნელობის გაგება–გააზრებაშიც გვიწყობს ხელს და წაკითხვაშიც (ამოცნობაში). ბავშვს ამოვაცნობინებთ პირველ ბგერას, შემდეგ მეორეს, მესამეს და ა.შ. ასე უფრო ადვილი იქნება პირველი ბგერის აღქმა.

- **ბგერების გადაბმა**

ბგერების გადაბმის სავარჯიშოები შეამზადებს ბავშვს წაკითხული სიტყვების დეკოდირებასა და გაწაფული კითხვისთვის. ამ უნარით, ბავშვი სიტყვის შემადგენელი ცალკეული ბგერების წარმოქმნის შემდეგ, ცნობს სიტყვას. ეფექტურია ბგერებად დაჭრილი ბარათები, სურათებიანი ბარათები.

- **ბგერებად დაშლა**

ამ უნარ–ჩვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წერის სწავლებისას. ბავშვმა უნდა დაშალოს სიტყვა შემადგენელ ბგერებად და შემდეგ შეარჩიოს თითოეული ბგერის შესაბამისი

ასო. გამოვიყენოთ ნახატიანი ბარათები, რომელზეც ბავშვი ჩახაზავს იმდენ უჯრას, რამდენი ბგერისაგანაც შედგება ეს სიტყვა. თანხმოვანი და ხმოვანი ბგერების გასარკვევად ვთხოვოთ, ხმოვნის შესაბამისი უჯრა გააფერადოს, პირობითად, მწვანე ფერით, თანხმოვნის – წითლით. მსგავსი სავარჯიშოებით მოსწავლეს უვითარდება სიტყვის ფონემატური ანალიზის, ბგერის პოზიციის განსაზღვრის, ბგერასა და ასოს შორის ურთიერთმიმართების დადგენის უნარი.

აქვე შემოგთავაზებთ რამდენიმე ფონოლოგიური სავარჯიშოს.

- რომელი სიტყვები ერითმება/ჰგავს ერთმანეთს? – სურათზე ხატია – ბელი, დაფა, ხელი, სკამი (ხელი–ბელი);
- ვაჩვენებთ ბარათებს გამოსახულებით: ცა, თხა, დათვი, თავი და ვეკითხებით – რომელი ორი სიტყვა იწყება ერთი და იმავე ბგერით? (თხა, თავი);
- პოსტერზე გამოსახულია ბურთი, მთვარე, დაფა, დათვი – რომელი ორი სიტყვა მთავრდება ერთსა და იმავე ბგერაზე? (ბურთი, დათვი);
- რომელი ორი სიტყვის შუაში არის ერთი და იგივე ბგერა? დათვი, გზა, ათი (დათვი, ათი);
- და/ფა – რა სიტყვაა? სკა/მი – რა სიტყვაა?
- ხ – ი – დ– ი – რა სიტყვაა ეს?
- მ/თ/ა, გ/ზ/ა – რა სიტყვაა ეს?
- დამარცვლე – მაგიდა, სკამი ....
- გამოყავი პირველი ბგერა – ვაშლი – ვ/აშლი; კალამი – კ/ალამი...
- დაითვალე ბგერები – მ – ა – გ – ი– დ– ა...
- დაითვალე მარცვლები მა – გი – და...
- სიტყვაში – სახლი, რომელია პირველი ბგერა, ბოლო ბგერა?
- თქვი – მაგიდა, პირველი მარცვლის გარეშე.
- ხმების ამოცნობა თანმიმდევრობის (რიგობის) მიხედვით, ვასმენინებთ სხვადასხვა ხმას, ბავშვი თანმიმდევრობით გვეუბნება, რომელი ხმა რის შემდეგ გაიგონა.
- ხმების ამოცნობა ადგილის მიხედვით – ოთახის რომელი კუთხიდან გაიგონა ხმა. **ათამაშე ბგერებით** – საუკეთესო საშუალებაა, ბავშვმა გააცნობიეროს მოსმენილი სიტყვა, მისი ბგერითი შედგენილობა. „შევაჯიბროთ“ ერთმანეთს ბგერით თამაშში, რათა კითხვის სწავლისთვის აუცილებელი ცოდნა შეიძინონ.

ფონოლოგიური უნარების დაუფლების შემდეგ ბავშვმა უნდა შეძლოს:

- ბგერების ერთმანეთზე გადაბმა, ბგერებად დაშლა;
- სიტყვის დამარცვლა და მარცვლების სიტყვებად გაერთიანება;
- ნაცნობ სიტყვაში ცალკეული ბგერების გამოყოფა (რომელ ბგერაზე იწყება, მთავრდება, შეიცავს თუ არა სიტყვა კონკრეტულ ბგერას,) სიტყვის პირველი და ბოლო ბგერის იდენტიფიცირება. მაგ: სიტყვა მზე – დაასახელეთ პირველი ბგერა, ბოლო ბგერა;
- მსგავსი ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა მაგ. ბ – ფ...
- რითმის ცნობა;
- ბგერების ამოგდება, დამატება, ჩანაცვლება;

ამდენად, თუ ბავშვი ახერხებს ზემოთ ჩამოთვლილს, არ უჭირს ჩვენს მიერ მიცემული ინსტრუქციის შესრულება, ვამბობთ, რომ ფონოლოგიური უნარი განვითარებული აქვს და იგი მზადაა კითხვის სწავლების შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად.

ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა;
2. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I – VI კლასები) (G – PRIED), 2015;
3. მასწავლებლის წიგნი, ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016;
4. ნ. მაღლაკელიძე, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013.

Nino Khantadze, Lela Avaliani

Akaki Tsereteli State University

On Some Strategies for Promoting the Development f Phonological Skills at the Elementary Level

Abstract

Reading is one of the mainstays, both in the direction of teaching language and various subjects. A student reads well-means having the ability to understand, to achieve this result, it is necessary for him to have developed phonological skills and be able to read fluently. All these skills are gradually developed as a result of targeted teaching at school. The first important component is phonological skills.